პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N

ქ. ბათუმი _____ იანვარი, 2026 წელი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს №22 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 22/08/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016445) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1 ჩამოყალიბდეს ამ დადგენილებაზე თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქორეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს №22 დადგენილებით დამკიცებულია M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების მარშრუტები. მუნიციპალიტეტის მიერ დაგემილი მოძრაობის ახალი მარშრუტების დამრკიცების მიზნით საჭიროა შეტანილი იქნას ცვლილება, რომელიც გულისხმობს როგორც ცალკეული მოძრაობის მარშრუტების გაუქმებას, ასევე ახალი მოძრაობის მარშრუტის დამატებას.

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

დადგენილების დანართი N1 ამოღებული იქნა გაუქმებული მარშრუტები: N24, 30, 32 და 36. ამავე დანართში დამატებული იქნა ახალი N35 მუნიციპალური მარშრუტი, რომელიც იმოძრავებს შემდეგი მიმართულებით: თევდორე მღვდელის ქუჩა - ხახულის ქუჩა - ლეონიძის ქუჩა - შარტავას ქუჩა - აბუსერიძის ქუჩა - ჭავჭავაძის ქუჩა (საბაგირომდე). აღნიშნული კი საჭიროებს შესაბამის ცვლილებად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ნორმატიულ აქტში.

ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ბ.ა) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ბ) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ხარჯებს არ საჭიროებს.

ბ.გ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტი მიმდინარე ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე დადებითად აისახება, რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს ზეგავლენას არ ახდენს.

ბ.დ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ე) პროექტის ავტორი:

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი **რუსუდან ჟოჟაძე**